სსიპ შოთა რუსთაველის ეროვნული სამეცნიერო ფონდის გენერალური დირექტორის

ბრძანება № 194

2016 წლის 28 სექტემბერი

ქ. თბილისი

სსიპ შოთა რუსთაველის ეროვნული სამეცნიერო ფონდის "უცხოეთში მოღვაწე თანამემამულეთა მონაწილეობით ერთობლივი კვლევებისათვის სახელმწიფო სამეცნიერო გრანტების" 2016 წლის საგრანტო კონკურსზე რეგისტრირებული პროექტების დაფინანსების წესის დამტკიცების შესახებ

„უცხოეთში მოღვაწე თანამემამულეთა მონაწილეობით ერთობლივი კვლევებისათვის სახელმწიფო გრანტების შესახებ" საქართველოს მთავრობის 2011 წლის 16 თებერვლის N88 დადგენილებით დამტკიცებული დებულების მე-9 მუხლის მე-3 პუნქტის, „საჯარო სამართლის იურიდიული პირის – შოთა რუსთაველის ეროვნული სამეცნიერო ფონდის დაფუძნებისა და მისი წესდების დამტკიცების შესახებ" საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 28 ივლისის N62/ნ ბრძანებით დამტკიცებული წესდების მე-7 მუხლის მე-2 პუნქტის "ო" ქვეპუნქტის, „2016 წლის უცხოეთში მოღვაწე თანამემამულეთა მონაწილეობით ერთობლივი კვლევებისათვის სახელმწიფო გრანტების კონკურსის გამოცხადების, კონკურსის პირობების და საკონკურსო განაცხადის ფორმების დამტკიცების შესახებ" სსიპ - შოთა რუსთაველის ეროვნული სამეცნიერო ფონდის გენერალური დირექტორის 2016 წლის 25 აპრილის N79 ბრძანებით დამტკიცებული უცხოეთში მოღვაწე თანამემამულეთა მონაწილეობით ერთობლივი კვლევებისათვის სახელმწიფო გრანტების გაცემის შესახებ კონკურსის პირობების მე-8 მუხლის მე-3 პუნქტის საფუძველზე და სსიპ შოთა რუსთაველის ეროვნული სამეცნიერო ფონდის სამეცნიერო გრანტებისა და პროგრამების უზრუნველყოფის, შეფასებისა და ანალიზის დეპარტამენტის უფროსის მოადგილის ნინო გაჩეჩილაძის სამსახურებრივი ბარათის (N1153843, 27.09.2016) შესაბამისად,

ვბრძანებ:

1. დამტკიცდეს სსიპ შოთა რუსთაველის ეროვნული სამეცნიერო ფონდის "უცხოეთში მოღვაწე თანამემამულეთა მონაწილეობით ერთობლივი კვლევებისათვის სახელმწიფო სამეცნიერო გრანტების" 2016 წლის საგრანტო კონკურსზე რეგისტრირებული პროექტების დაფინანსების წესი თანდართული დანართის შესაბამისად

2. დაევალოს სსიპ - შოთა რუსთაველის ეროვნული სამეცნიერო ფონდის (შემდგომში: ფონდი) საზოგადოებასთან ურთიერთობის სამსახურს ამ ბრძანების ფონდის ვებგვერდზე განთავსება
3. ბრძანება ძალაშია ფონდის ვებგვერდზე გამოქვეყნების შემდეგ
4. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს მისი ძალაში შესვლიდან ერთი თვის ვადაში თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში (მის: დ. აღმაშენებლის ხეივანი მე-12 კმ. N6).

მარინე ჩიტაშვილი

დანართი
დამტკიცებულია სსიპ შოთა რუსთაველის ეროვნული
სამეცნიერო ფონდის გენერალური დირექტორის
2016 წლის 28 სექტემბრის N 154 ბრძანებით

2016 წლის უცხოეთში მოღვაწე თანამემამულეთა მონაწილეობით ერთობლივი კვლევებისათვის სახელმწიფო სამეცნიერო გრანტების კონკურსზე რეგისტრირებული პროექტების დაფინანსების წესი

დაფინასების მოპოვებისათვის თითოეული სამეცნიერო მიმართულებიდან განიხილება მხოლოდ **საუკეთესო პროექტები.**

§ 1. საუკეთესო პროექტების განსაზღვრის წესი სამეცნიერო მიმართულებების მიხედვით.

1. საუკეთესო პროექტების განსაზღვრისათვის პირველ ეტაპზე გამოითვლება თითოეული სამეცნიერო მიმართულებისათვის 1, 2,..., 7 იმ პროექტების ქულათა საშუალო არითმეტიკული, რომლებიც ტოლია ან მეტია 43 - ზე და შესაბამისად აღინიშნება $q_1, q_2, \ldots, q_7$-ით.
2. $q_1, q_2, \ldots, q_7$ არის შესაბამისად 1, 2,..., 7 სამეცნიერო მიმართულებების **ქვედა ზღვარი**
3. პროექტებს, რომელთა შეფასებაც მეტია ან ტოლია შესაბამისი სამეცნიერო მიმართულების ქვედა ზღვარზე, ეწოდებათ **საუკეთესო პროექტები.**

§ 2. საუკეთესო პროექტების დაფინანსება

1. თითოეული სამეცნიერო მიმართულებისათვის ქულების მიხედვით ცალ-ცალკე დგება საუკეთესო პროექტების რანჟირებული სია.
2. პირველ ეტაპზე თითოეულ სამეცნიერო მიმართულებაში ფინანსდება მინიმუმ ერთი საუკეთესო, ყველაზე მაღალქულიანი პროექტი.
3. მეორე ეტაპზე დგება საუკეთესო პროექტების ერთიანი რანჟირებული სია და კონკურსისათვის გამოყოფილი ბიუჯეტის ფარგლებში ფინანსდება პროექტები ერთიანი რანჟირებული სიიდან (ზევიდან ქვევით) სამეცნიერო მიმართულებების გაუთვალისწინებლად, სანამ კონკურსის ბიუჯეტი იძლევა პროექტის სრულად დაფინანსების საშუალებას.